ლელო

11-14 სექტემბერი, 1993 წ.
№ 67 (10 855)
● ფასი 100 კუპონი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მწარე, მერე როგორი მწარე გაკვეთილი

დარწმუნებული ვართ, ხუთშაბათ-პარასკევის ღამე საქართველოში ბევრმა, როგორც იტყვიან, თეთრად გაათენა, მათ შორის ლელოელებმაც. ჩვენ იქ ვიყავით, სადაც პირდაპირი ხაზი იყო ჩართული ციურიხთან. საკონტაქტო ტელეფონი, რომლითაც „დინამოს“ პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას უნდა დავკავშირებოდით, ოთხი საათი დუმდა — სასტუმროდან ერთსა და იმავეს გვპასუხობდნენ: „უკაცრავად, ნომერში არავინაა“. ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთ წევრს, შესვენებისას, ადვილად დაურეკავს კოდით გერმანიაში, ნაცნობ ქართველთან, მან კი თბილისში გვაცნობა, რომ „ახალი არაფერია, სხდომა მიმდინარეობს“. მხოლოდ თბილისის დროით დაახლოებით 2 საათზე შევიტყვეთ სამწუხარო ამბავი, რომ სააპელაციო კომისიამ არ შეცვალა ადრინდელი გადაწყვეტილება — „დინამო“ გამოეთიშა ჩემპიონთა თასს, ამასთან, ძალაში დატოვეს მომდევნო გათამაშებაში ერთი წლით დისკვალიფიკაციაც, თუკი „დინამო“ ისევ მოიპოვებს უეფას ტურნირებში მონაწილეობის უფლებას.

„დინამოს“ მხრიდან თავგამოდებულმა სააპელაციო სამზადისმა, რაღა თქმა უნდა, ადეკვატური რეაქცია გამოიწვია უეფას და მსაჯთა ბრიგადის მხრიდან. ჩვენთვის სასურველი განაჩენი, რაღა თქმა უნდა, გამოიწვევდა პროვოკაციისთვის მსაჯებისა და კომისრის პირდაპირ პასუხისმგებლობას, ცხადია, არც უეფას პრესტიჟი დარჩებოდა შეულახავი. ამიტომ მეორე მხარემ არგუმენტებს არგუმენტები, ადვოკატებს ადვოკატები დაუპირისპირა, თითქმის ხუთსაათიანი ბრძოლა როგორც დასრულდა, უკვე გითხარით.

სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ თურქი და ირლანდიელი, რომლებიც დისციპლინარულ კომისიაში შედიან, როგორც დაინტერესებული მხარეები ამჯერად არ მონაწილეობდნენ საკითხის განხილვაში, თუმცა, უეფას კონსერვატორული აპარატისთვის მთავარია პრინციპები და არა ის, თუ ვინ მოისხამს „მოსამართლის მანტიას“.

უეფასთან ბრძოლის ორი რაუნდი ზედიზედ ჯერ არავის მოუგია, ძალზე საეჭვო იყო, რომ ჩვენ ვიქნებოდით გამონაკლისი. სააპელაციო კომისია იშვიათად ან თითქმის არ ცვლის სადისციპლინო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, თუნდაც ბევრი რამ სადავო იყოს მასში. ასეთ პრინციპს უეფა თავის პრესტიჟად მიიჩნევს და ჯერ არ გამოჩენილა ისეთი მოდავე, უეფას ნების წინააღმდეგ თავისი გაეტანოს. უეფა რასაც გადაწყვეტს, ისაა სამართალი, ზევით ველარსად წახვალ. თუმცა, უეფას ასეთი სანქციები შემდგომში თავადვე არაერთგზის გადაუსინჯავს.

მიუხედავად მწარე განაჩენისა, ვწერდით და ახლაც გავიმეორებთ — ემოციებს არ უნდა ავყვეთ. „დინამო“ ჩვენი ეროვნული სიამაყეა, მართლაც შესანიშნავი ახალგაზრდები არიან გუნდში, ზრუნვა-ხელშეწყობა არ უნდა მოვაკლოთ, იქნებ ყველაზე მეტად ახლა სჭირდება კლუბს ფსიქოლოგების, ჩვენი სახელოვანი ადამიანების თანადგომა. საკუთარი ძალების რწმენით, გულშემატკივრებს სჯერათ, რომ „დინამო“ კვლავ გავა საერთაშორისო სარბიელზე და სიხარულსაც არ მოგვაკლებს. მწარე გაკვეთილი კი, ცხადია, ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„მყინვარწვერი-93“

ასე ეწოდება საიუბილეო ალპინიადას, რომელიც ჩვენი მთამსვლელობის 70 წლისთავს ეძღვნება და მასში 140 ვეტერანი და ახალბედა ალპინისტი მონაწილეობს.

თბილისიდან ჩრდილოეთით თუ გაიხედავთ, კავკასიონის მწვერვალთა რიგში კარგად ჩანს, მარადთოვლიანი ცადაზიდული ხევის პატარძალი (სიმაღლე 5.621 მ), რომელზეც შვიდი ათეული წლის წინათ, ზუსტად კი 1923 წლის 28 აგვისტოს მოეწყო პირველი მასობრივი ასვლა. ამ ასვლას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, რადგან სწორედ იქიდან იღებს სათავეს ქართული ალპინიზმის ისტორია, რომელსაც არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება ამშვენებს სადღეისოდ.

● საიუბილეო ალპინიადას ატარებს ახლახან შექმნილი საქართველოს ალპინიზმისა და მეკლდეურობის ასოციაცია, რომლის გენერალურმა მენეჯერმა საბა კიკნაძემ გვაცნობა:

— ალპინიადის მონაწილენი თითქმის მთელი საქართველოდან არიან: თელავიდან, რუსთავიდან, გორიდან, ბათუმიდან, ერთი სიტყვით, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მათთან ერთად მწვერვალზე ავლენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობისა და ტექნიკური უნივერსიტეტების, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, აგრეთვე ირაკლი გელდიაშვილის სახელობის, „ხეტის“, „კავკასიონის“ ალპინისტური კლუბების წევრები და მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები. ალპინიადას ხელმძღვანელობს ცნობილი ქართველი მთამსვლელი გივი ქართველიშვილი, რომელსაც მხარში უდგანან გამოცდილი ინსტრუქტორები. ალპინიადა გუშინ დილით დაიძრა ყაზბეგისაკენ. მონაწილენი სოფელ გველეთში მდებარე ბავშვთა და მოზარდა მთამსვლელობისა და მეკლდეურობის ბაზაში გაათევენ ღამეს, შაბათს კი მეტეოსადგურზე დაიდებენ საბაზო ბანაკს. აქედან რამდენიმე საწვრთნელი ასვლა ექნებათ იქვე მდებარე მწვერვალ ორწვერზე და გერგეტზე (ყოფილი („სპარტაკი“), 14 სექტემბერს კი მყინვარწვერს შეუტევენ.

უსაფრთხოების დაცვის მიზნით ალპინიადას მოემსახურება სპეციალური სამაშველო სამსახური, რომელიც აღჭურვილია კავშირის თანამედროვე საშუალებებით და ტექნიკით, მის განკარგულებაშია ვერტმფრენი.

სურათებზე: ალპინიადის მონაწილენი გამგზავრების წინ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ისევ სპორტის დეპარტამენტი

როგორც ცნობილია, ამას წინათ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ე. შევარდნაძემ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა მინისტრთა კაბინეტის ახალი სტრუქტურა. იმსჯელეს აგრეთვე ფრაქცია „რესპუბლიკელების“ მიერ შეთავაზებულ ალტერნატიულ პროექტზეც. დებატებმა უნაყოფოდ ჩაიარა.

7 სექტემბერს პარლამენტი ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდა. გადაწყვეტილება მიიღეს სარეკორდო დროში, რასაც საპარლამენტო უმრავლესობის შექმნას მიაწერენ — გაიმარჯვა ე. შევარდნაძის პროექტმა.

ამ მოვლენიდან, ბუნებრივია, ჩვენ განსაკუთრებით სპორტის სახელმწიფო ხელმძღვანელი ორგანოს ბედი გვაინტერესებს. იცით, ბოლო ორნახევარ წელიწადში რამდენჯერმე შეიცვალა მისი სტატუსი — სპორტკომიტეტი ჯერ დეპარტამენტად იქცა, მერე ტურიზმთან სამინისტროდ გაერთიანდა, მერე ეს ორი დარგი ისევ გაყარეს ერთმანეთს და კომიტეტებად იქცნენ, ახლა.... ისევ დეპარტამენტი — ასეა სახელმწიფოს მეთაურის მიერ წარდგენილ სტრუქტურაში.

მაშ ასე, ამიერიდან სპორტის დეპარტამენტი. ვფიქრობთ, მთავარი მაინც შინაარსია და არა სახელი. სპორტი იყო და, საბედნიეროდ, რჩება ერთადერთ სფეროდ, რომელიც მიუხედავად ჩვენში დატრიალებული ამდენი უბედურებისა, კვლავ ინარჩუნებს მსოფლიო სტანდარტების დონეს.

აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელების“ პროექტში უპირატესობა ენიჭებოდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შექმნას (განათლების დეპარტამენტი, მეცნიერების დეპარტამენტი, სპორტის დეპარტამენტი). ამ პროექტით ტურიზმი ეკონომიკისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შედიოდა (...ტურიზმის დეპარტამენტი).

ინფორმაცია

● **პრეშოვი.** უკვე ვიუწყებოდით სლოვაკიის ამ ქალაქში გამართული ხელბურთელთა მატჩის შესახებ ევროპის ჩემპიონთა თასზე ადგილობრივ „ტატრანსა“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდ „შევარდენს“ შორის. ჩვენმა ხელბურთელებმა მეორე შეხვედრაც წააგეს — 12 : 17 (5 : 9) და გამოეთიშნენ გათამაშებას.

● **ბუენოს-აირესი.** აქაური გაზეთები იუწყებიან, რომ არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ ხელი მოაწერა კონტრაქტს ქალაქ როსარიოს კლუბ „ნიუელ ოლდ ბოისთან“ (როსარიო ბუენოს-აირესიდან 300 კილომეტრითაა დაცილებული). კონტრაქტი დადებულია ერთი წლით.

იტყობინებიან იმასაც, რომ კონტრაქტის თანხა შეადგენს 4 მილიონ დოლარს, საკუთრივ მარადონა ყოველთვიურად მიიღებს 25 ათას დოლარს.

მატჩები მსოფლიო პირველობაზე

ზვოლეში (ჰოლანდია) გაიმართა კარპოვ — ტიმანის მატჩის მეორე და მესამე პარტიები.

მეორე შეხვედრაში კარპოვმა თამაში ლაზიერის პაიკით დაიწყო. შავებმა ახალინდურ დაცვას მიმართეს, რაც ჰოლანდიელი დიდოსტატის პარტიებში ხშირად გვხვდება. მსოფლიო ექსჩემპიონმა პასიურად ითამაშა, რითაც კარგად ისარგებლა ტიმანმა, გაიმარჯვა და ანგარიშიც გაათანაბრა. მესამე პარტია 49-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა. ახლა ანგარიშია 1,5 : 1,5, მეოთხე პარტია დღეს გაიმართება.

ლონდონში კასპაროვ — შორტის პირველ პარტიაში მსოფლიო ჩემპიონი თეთრებით თამაშობდა. ბრძოლა მეტად დრამატული გამოდგა, საკმარისია აღინიშნოს, რომ 38-ე სვლაზე კასპაროვმა მეტოქეს ყაიმი შესთავაზა და უარი მიიღო. უკვე შემდეგ სვლაზე ძალზე მოულოდნელი რამ მოხდა — სასტიკ ცაიტნოტში ინგლისელს საათზე ალამი ჩამოუვარდა და წაგება ჩაეთვალა. ასე გაიხსნა ანგარიში.

მეორე პარტია შორტმა კარგად დაიწყო და გარკვეულ უპირატესობასაც მიაღწია, შემდგომ კი კვლავ მოულოდნელი ამბები დატრიალდა. ინგლისელმა ერთი, ძალზე უხეირო, 25-ე სვლით დაკარგა უპირატესობა. „მომეჩვენა, რომ შორტს გონება დაუბნელდა“ — შენიშნა ამ სვლასთან დაკავშირებით ინგლისელმა დიდოსტატმა ენტონი მაილსმა. ახლა უკვე კასპაროვს ჰქონდა უკეთესი შესაძლებლობები, მაგრამ შორტი არ დაიბნა და 51-ე სვლაზე მაინც მიაღწია ყაიმს. ლონდონში ანგარიშია 1,5 : 0,5 კასპაროვის სასარგებლოდ. მესამე პარტია დღეისათვის არის დანიშნული.

ერთი სიტყვით, ორივე მატჩში დიდი ნერვულობა იგრძნობა.

„ფეხბურთი, მოგეხსენებათ, გვარიანად ძაბავს ნერვებს. გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში გულშემატკივრები გზას უხსნიან გრძნობებს — ყვირიან, უსტვენენ, მღერიან, ტირიან, მოწინააღმდეგეებთან კამათისას კი მუშტებსაც უთავაზებენ ხოლმე ერთმანეთს“. (იხ. მე-4 გვ.).

ტურნირის ექო

მხოლოდ ხუთ წონაში, მხოლოდ ერთი „ბრინჯაო"

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლა (ტორონტო, 25-28 აგვისტო) მაინცდამაინც დიდ წარმატებად არ ჩაეთვლებათ, თუმცა ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ ეროვნული ნაკრები თავის პირველ დამოუკიდებელ ჩემპიონატში, ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო, მხოლოდ ხუთ წონაში ასპარეზობდა. ეს კი უკვე თავისთავად მინუსია, რომელიც იმედიანად ყოფნის საბაბს არ გვაძლევდა.

ხუთი ქართველი მოჭიდავიდან მხოლოდ ერთმა, ელდარ კურტანიძემ (90 კგ) მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, თანაც ბოლო შეხვედრაში დაამარცხა ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი მახარბეკ ხადარცევი, რომელიც ადრე უზბეკეთის ღირსებას იცავდა, ახლა კი რუსეთის გუნდის წევრი გახდა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრემ — რუსეთმა ამ ჩემპიონატში ნამდვილი ფიასკო განიცადა. თანაც დამარცხდა მუდმივ მეტოქესთან, აშშ-ის გუნდთან, რომელსაც ადრე, უმთავრესად, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მოჭიდავეთა ხარჯზე უგებდა. სხვათა შორის, ის ერთადერთი ოქროს მედალიც რუსეთს საქართველოში ფეხადგმულმა, ჩამოყალიბებულმა და დაოსტატებულმა მსოფლიოს მრავალგზისა და ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ლერი ხაბელოვმა მოუტანა.

ტორონტოს მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორთა სიაში კიდევ ერთ საქართველოში აღზრდილ მოჭიდავის გვარს შეხვდებით. ეს გახლავთ მძიმეწონოსანთა ტურნირის მეორე პრიზიორი მერაბ ვალიევი, რომელიც უკრაინის ღირსებას იცავდა და დამარცხდა მხოლოდ ერთ შეხვედრაში სახელოვან ამერიკელთან ბაუმჰარტნერთან.

ჭიდაობით დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ პრიზიორთა ტრადიციულ ნუსხას:

48 კგ. 1. ა. ვილა (კუბა), 2. ვ. იროჯევი (ბულგარეთი), 3. ხუნ ვან იონგი (კორეა).

52: 1. ვ. იორდანოვი (ბულგარეთი), 2. გ. რ. მოჰამადი (ირანი), 3. ს. ზამბალოვი (რუსეთი).

57: 1. ტერი ბრანდსი (აშშ), 2. სანგ იო სიმი (კორეა), 3. ი. ცერენბაატარი (მონღოლეთი).

62: 1. ტომ ბრანდსი (აშშ), 2. ლ. რეინდსო (კუბა), 3. რ. ატაულინი (უზბეკეთი). დავით ბელთაძე (საქართველო) ვერ მოხვდა ათეულში.

68: 1. ა. ფალამი (ირანი), 2. ვ. ბოგუევი (რუსეთი), 3. კ. ვილსონი (კანადა). ზაზა ზოზიროვი (საქართველო) ვერ მოხვდა ათეულში.

74: 1. იონგ სუნ პარკი (კორეა), 2. დ. შულცი (აშშ), 3. ა. როდრიგესი (კუბა).

82: 1. ს. ოზთურქი (თურქეთი), 2. ს. კატინავასოვი (რუსეთი), 3. რ. კინჩაგოვი (უზბეკეთი)... 6. დავით ხურცია (საქართველო).

90: 1. ა. ჯადიდი (ირანი), 2. მ. დუგლასი (აშშ), 3. ე. კურტანიძე (საქართველო).

100: 1. ლ. ხაბელოვი (რუსეთი), 2. ა. ქაიალი (თურქეთი), 3. მ. ბალცი (გერმანია).

130: 1. ბ. ბაუმჰარტნერი (აშშ), 2. მ. ვალიევი (უკრაინა), 3. ა. შუმილინი (რუსეთი), 4. ზ. თურმანიძე (საქართველო).

გუნდური ადგილები: 1. აშშ — 74 ქულა, 2. რუსეთი — 52, 3. თურქეთი — 51, 4. კორეა — 39, 5. კუბა — 38, 6. ირანი — 35, 7. უკრაინა — 29, 8. გერმანია 25, 9-10. უზბეკეთი და საქართველო — 20-20.

ჩემპიონატის მედლები ქვეყნებს შორის განაწილდა ასეთი თანმიმდევრობით:

	ო	ვ	ბ
აშშ	3	2	—
ირანი	2	1	—
რუსეთი	1	2	2
კორეა	1	1	1
კუბა	1	1	1
თურქეთი	1	1	—
ბულგარეთი	1	1	—
უკრაინა	—	1	—
უზბეკეთი	—	—	2
გერმანია	—	—	1
საქართველო	—	—	1
მონღოლეთი	—	—	1
კანადა	—	—	1

• • •

ტორონტოშივე გაიმართა ვეტერან მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, რომელმაც საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. გთავაზობთ გამარჯვებულთა გვარებს ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით.

35-39-წლიანები. 57 კგ. ჯ. ჰარტუპი (აშშ), 62. გ. ბაღდასარიანი (სომხეთი), 68. რ. ფოზარდი (აშშ), 74. ბ. ბორდიევი, 82. ვ. მოდოსიანი (ორივე — რუსეთი), 90. ზ. ჰოდოში (სლოვაკია).

40-44-წლიანები. 57. ა. ივანოვი, 62. ა. კონსტანტინოვი (ორივე — რუსეთი), 68. ჯ. ბენეტი (აშშ), 74. დ. რინიგულინი (რუსეთი), 82. ბ. კლოტსინგი (გერმანია), 90. ტ. პაისი (კანადა).

45-49-წლიანები. 57. გ. ბერტლი (კანადა), 62. დ. ბემი (აშშ), 68. გ. იურტი, 74. ფლეიგი, 82. ა. ზეგერი, 90. ჰ. შტოტმაისტერი (ყველა — გერმანია).

50-54-წლიანები. 57. ტ. მიაგუჩი (იაპონია), 62. მ. საბატინი (გერმანია), 68. რ. პლიევი (რუსეთი), 74. ა. შამსედიარი (ირანი), 82. რ. ზეიერი (გერმანია), 90. მ. ურბანოვიჩი (უნგრეთი).

55-59-წლიანები. 57. ჰ. მასაკი (იაპონია), 62. დ. აუბლი (აშშ), 68. ე. ზეგერი (გერმანია), 74. ჰ. ესეი (ირანი).

60-ს გადაცილებულნი. 62. დ. მერზოვი (რუსეთი), 68. ლ. გჟიბლა (უნგრეთი), 74. ე. გროსმანი (გერმანია).

დიდგზაგამოვლილნი

სიხარულიც და სინანულიც საკმაო იყო

ქართულმა კალათბურთმა შვიდ ათეულ წელს გადააბიჯა. ამ ხნის მანძილზე ჩვენს სპორტსმენებს უამრავი წარმატებისთვის მიუღწევიათ საერთაშორისო სარბიელზე. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ქართული კალათბურთის კარიბჭესთან იდგა, გახლდათ სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევ ძეკონსკი. 80 წლის ვეტერანი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს. ამჟამად იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდის მწვრთნელ-კონსულტანტია.

— ორმოცდამეექვსე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. — იგონებს ბატონი ლევ ძეკონსკი. — ფიზკულტურას მიხეილ ცხვედაძე გვასწავლიდა, შესანიშნავი პედაგოგი და სპორტზე უზომოდ შეყვარებული კაცი. ერთ დღეს ბატონმა მიხეილმა რამდენიმე ბიჭი შეგვარჩია და თავისი ხელით მოწყობილ სკოლის საკალათბურთო მოედანზე ჩაგვამწკრივა. აქედან დაიწყო ჩემი გზა კალათბურთში. ეს იყო 1926 წელს.

● მას შემდეგ უამრავ შეჯიბრებაში მიგიღიათ მონაწილეობა. ალბათ იყო გამორჩეულიც...

— ოცდაათიანი წლების მიწურულს თბილისის „ლოკომოტივში" მიმიწვიეს სათამაშოდ. 1938 წელს ჩვენი გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდა და საკავშირო პირველობის მეორე ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა. იქაც ყველას ვაჯობეთ და მომდევნო წელს უმაღლეს ლიგაში ვიასპარეზეთ. ჩვენი გუნდი ოქროს მედლების რეალური პრეტენდენტი იყო, მაგრამ ოდესის „კრასნაია ზვეზდასთან" წაგებამ დაგვწია უკან. საბოლოოდ, მოსკოვის „ლოკომოტივთან" და ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან ერთად თანაბარი ქულები დავაგროვეთ. ბურთების უარესი სხვაობით მესამე ადგილი გვერგო. ეს ჩვენთვის დამარცხების ტოლფასი იყო, რადგან ჩემპიონატის პარალელურად ჩატარებულ ქალაქების პირველობაზე ხარკოვში თბილისის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში მეც გამოვდიოდი, პირველი ადგილი დაიკავა.

● მაგრამ ხომ იყო უფრო დიდი გამარჯვებებიც...

— ორმოციან წლებში ქართული კალათბურთის აღზევება დაიწყო. ჩვენი სპორტსმენები წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ. მერე ომი დაიწყო... 1944 წლის აგვისტოში თბილისმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს უმასპინძლა. ჩვენი დედაქალაქის ოფიცერთა სახლის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ჩემთან ერთად თამაშობდნენ ნოდარ ჯორჯიკია, მიხეილ ფილიპოვი, ბორის სარქისოვი, მიხეილ ერმაკოვი, სურენ ოგანეზოვი და გრიგოლ ზახლიანი, ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველად გახდა ოქროს მედლების მფლობელი. მომდევნო წელს საკავშირო ჩემპიონატი ისევ თბილისში ჩატარდა, მაგრამ ამჯერად ვერ გამოვიყენეთ საკუთარი კედლების უპირატესობა — არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდმა გაგვისწრო. სამაგიეროდ, 1946 წელს კიევში კვლავ ჩემპიონები გავხდით.

● როდის გაანებეთ თავი აქტიურ სპორტს, ხომ არ ნანობთ, რომ არჩევანი მწვრთნელობაზე შეაჩერეთ?

— იმ დროს საქართველოში კალათბურთელ ქალთა რამდენიმე საინტერესო გუნდი იყო ჩამოყალიბებული. როგორც პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, ამ სასწავლებლის ქალთა გუნდში დავიწყე მუშაობა მწვრთნელად. მალე ძლიერი კოლექტივი შეიკრა და 1952 წელს საკავშირო პირველობის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებაც მოვიპოვეთ. 1955 წელს სტალინგრადში, ზამთრის ჩემპიონატზე ჩვენმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. ოთხი წლის შემდეგ კი ისევ გავიმეორეთ ეს მიღწევა, თუმცა ჩემპიონობასთანაც ახლოს ვიყავით — რიგელებთან ერთად თანაბარი ქულები დავაგროვეთ, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში დავმარცხდით. ვერცხლის მედლები შემდგომაც გვერგო — 1965 და 1966 წლებში.

● ცხოვრებაში, ალბათ, სიხარულისა და სინანულის წუთებიც გქონიათ?

— ერთიცა და მეორეც საკმაოდ იყო. ძალიან გავიხარე, პირველი ოქროს მედალი რომ მივიღე. 1946 წელს ამიერკავკასიის ჯარების მთავარსარდალმა, მარშალმა ტოლბუხინმა სიურპრიზი მოგვიწყო — კიევიდან დაბრუნებულები მოტოციკლებით დაგვაჯილდოვა. ეს იმ დროს უძვირფასესი საჩუქარი იყო. რაც შეეხება სინანულს, ყველაზე მეტად 1947-მა წელმა დამწყვიტა გული: საკავშირო ჩემპიონატზე მოსკოვის „სტროიტელთან" პირველ ტაიმს 18 ქულით ვიგებდით, საბოლოოდ კი თამაში წავაგეთ და საპრიზო ადგილების მიღმა დავრჩით. არადა, იმ წელს აქტიურ სპორტში ჩემი გამოსვლის ბოლო სეზონი იყო.

● სერგო მალალაშვილთან დაკავშირებულ კურიოზზე გვითხარით, მართალია?...

— ქალთა გუნდს ყოველთვის აწუხებდა ტანმაღალ სპორტსმენთა პრობლემა, ამიტომ ჩემს ერთ-ერთ საზრუნავს ტანმაღალი გოგოების ძიებაც შეადგენდა. ერთხელაც თბილისის დინამოელმა სერგო მალალაშვილმა მითხრა, სოფელში მყავს და, ტანმაღალია, სწორედ კალათბურთისთვისაა დაბადებული, მაგრამ მშობლები ვერ ელევიან, თუ არ გჯერა, წავიდეთ, საკუთარი თვალით ნახეო. ვარჯიშის დამთავრებისთვის არც დამიცდია. ჩავსხედით ჩემს მანქანაში და კახეთისკენ გავეშურეთ. ოჯახში, რა თქმა უნდა, გულთბილად შეგვხვდნენ, დიდი სუფრა გაიშალა. თვალებით ვეძებდი ჩემს მომავალ ცენტრალურ თავდამსხმელს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ვეღარ მოვითმინე და სერგოს ვკითხე, შენს დას ხომ არაფერი მოუვიდა-მეთქი. როგორ გეკადრებაო, მითხრა და ერთ საშუალო ტანის გოგოზე მიმითითა, რომელიც დედას სუფრის გაწყობაში ეხმარებოდა. მერე გავიგე: სერგოს მშობლები მონატრებია და კახეთში წასასვლელად მანქანა სჭირდებოდა თურმე...

ესაუბრა ვაჟა დანელია.

„დილა-90"-ის ალიონი...

როგორც სათაურიდანაც ჩანს, ისტორია სამიოდე წლის წინ დაიწყო. ჩოგბურთის ცნობილმა სპეციალისტმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გურამ თოხაძემ ნაძალადევის კულტურისა და დასვენების პარკში შექმნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი „დილა-90".

● სანამ უშუალოდ საქმეზე დაგველაპარაკებოდეთ, მოკლედ თქვენი სპორტული ბიოგრაფიის შესახებ?

— პირველი ნაბიჯები, როგორც მწვრთნელმა, ბათუმში გადავდგი 35 წლის წინათ. აჭარის ჩოგბურთელთა გუნდს ვამზადებდი მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის. მეორე ადგილი დავიკავეთ თბილისელთა შემდეგ. ბათუმში სამი წლის მუშაობის პერიოდში აღვზარდე რამდენიმე სპორტის ოსტატი, მათ შორის ძმები ვლადიმერ და პავლე ასათიანები, ნიაზ ჟორდანია, ნატაშა ანტიპინა. მომდევნო პერიოდში (მთელი 15 წელიწადი) ვხელმძღვანელობდი სამგორის, გარდაბნისა და მთაწმინდის რაიონებისა და სპორტსაზოგადოება „დინამოს" სპორტსკოლებს. ყველგან შევქმენი ჩოგბურთის სექცია. სხვათა შორის, სწორედ ერთ-ერთ ასეთ სექციაში აიდგეს ფეხი ისეთმა აღიარებულმა ოსტატებმა, როგორიცაა ლელა მესხი, დავით კაჭარავა და სხვა.

● ახლა კი უშუალოდ „დილა-90"-ის შესახებ...

— ჯგუფში ათამდე ნორჩი ჩოგბურთელია გაერთიანებული, მათი ასაკი 10-დან 14 წლამდეა. სპეციალისტები კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ ახალგაზრდა სპორტსმენებს. დღეში ორ-სამ ვარჯიშს ვატარებთ ნაძალადევის პარკსა (ასფალტის საფარზე) ან მარჯანიშვილზე მდებარე ჩოგბურთის კორტებზე, რომლებსაც ნორმალური, ქვიშის საფარი აქვს. ჩემთან ერთად ნორჩების ფიზიკურ მომზადებაზე

მაკა ჩახნაშვილი

მუშაობენ ნუხა გოგოლაძე და ტომა კლდიაშვილი.

● ამ რთულმა პერიოდმა, ალბათ, გაიძულათ სპონსორები გამოგეძებნათ...

დიდად გვეხმარება თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ჩოგბურთის სკოლა, რომელსაც სათავეში უდგას ჩვენი შესანიშნავი ჩოგბურთელი თემურ კაკულია. მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს მთავარ სპონსორებს — ქალაქის კულტურის სამმართველოს და მის თავკაცს ბატონ ოთარ ბერძენიშვილს, ნაძალადევის პარკის ხელმძღვანელობას (დირექტორი რევაზ ოდიშარია), სამკერვალო ფაბრიკა „კოლხეთს" (დირექტორი ვალერიან გეგიძე). ისინი ყოველნაირად გვეხმარებიან, მათ შორის შეჯიბრებებზე გამგზავრებაში. აქვე ვიტყვი, რომ ძირს სპორტული ინვენტარის შეძენა: ჩოგბურთის ბურთი, მაგალითად, ღირს 600 მანეთი, ჩოგნის სიმების კომპლექტი — 3.000 მანეთი. არაფერს ვამბობ ტრენაჟორზე, რომელიც ჯერჯერობით ვერა და ვერ შევიძინეთ. აქვე მინდა დიდი მადლიერებით მოვიხსენიო ლელა მესხი, რომელმაც ჩვენს ბავშვებს საჩუქრად გადასცა რამდენიმე ჩოგანი და თბილისში ჩამოსვლისას, როგორც შეგვპირდა, დაასაჩუქრებს მაკა ჩახნაშვილს „პრინცის" ცნობილი ფირმის პირველხარისხოვანი ჩოგნით.

● გაგვაცანით თქვენი შეგირდები...

— აი ისინიც: ია ზოზრაშვილი, ნინო ჰეჭინაძე, თამრიკო გელაშვილი, ირაკლი უშანგიშვილი, გიორგი რევაზიშვილი, ბესარიონ შეყილაძე, ნუკრი ცერცვაძე, გურამ ახვლედიანი, მაკა ჩახნაშვილი. ეს უკანასკნელი 10 წლისაა და ჩვენს სიამაყედ ითვლება. მან უკვე მოიგო თბილისის პირველობა უმცროსთა ასაკში, აგრეთვე, „დინამოს" ღია პირველობა, ხოლო განათლების სისტემის რესპუბლიკურ ტურნირში საპრიზო ადგილზე გავიდა.

● რა შეჯიბრებები გელით უახლოეს პერიოდში?

— 1 აგვისტოს სანქტ-პეტერბურგში იწყება დიდი ღია ტურნირი 10-14 წლის ჩოგბურთელთათვის. ძალიან გვინდა გამოვიდეთ ამ ტურნირში მთელი შემადგენლობით, ცხადია, სპონსორთა შემწეობით. თავს ნამდვილად არ შევირცხვენთ. სექტემბერში კი ვაპირებთ კვლავ გავემგზავროთ გერმანიაში, კერძოდ ქალაქ მარტკობერდორფში, სადაც ჩვენი ნორჩები ადგილობრივი კლუბის ჩოგბურთელებს შეხვდებიან. შარშან გერმანელები იყვნენ თბილისში, მერე ჩვენ ვეწვიეთ საპასუხო ვიზიტით. მომავალში, ალბათ, ვიზიტებს გავცვლით იტალიის ქალაქ პალერმოს ჩოგბურთელებთან.

ამ დღეს იმდენი ქება-დიდება გავიგონეთ მაკა ჩახნაშვილზე, რომ არ შეიძლებოდა არ გავსაუბრებოდით მასაც.

— თბილისის 84-ე სკოლაში ვსწავლობ, მეხუთე კლასში გადავედი. სულ პატარამ ცეკვაზე დავიწყე სიარული. ჩოგბურთზე და, საერთოდ, სპორტზე არ მიფიქრია შარშანდლამდე, როდესაც ნათლიამ წამიყვანა „დინამოს" კორტზე, სანაპიროზე ბატონ გურამ თოხაძესთან. ცეკვას ვუღალატე და, როგორც მეუბნებიან, არც შევმცდარვარ. ჩემი მთავარი გულშემატკივრები არიან ბაბუაჩემი (იგი ძველი ფეხბურთელია) და სკოლის დირექტორი, ქალბატონი მარიამ მესხი, რომელიც დიდად მიწყობს ხელს. დღეში ხუთ-ექვს საათს ვვარჯიშობ, ძალიან ვიღლები, მაგრამ მუდამ სიხარულით მოვდივარ კორტზე — ამბობს მაკა.

● ვინ არიან შენი კერპები დიდ ჩოგბურთში?

— ლელა მესხი და შტეფი გრაფი. მინდა მათსავით პროფესიონალი გავხდე და ცოტათი მაინც დავემსგავსო თამაშით.

ღმერთმა ქნას, რომ ეს ქართველი ჩოგბურთელიც გავიდეს დიდ სარბიელზე.

ესაუბრა ეკა პეტრიაშვილი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

მეორე ჯგუფი

7 სექტემბერი, III ტური

აღმოსავლეთი ზონა

„არმაზი“ (მცხეთა) — „რკონი“ (კასპი) 4-0
„არაგვი“ (დუშეთი) — „სიონი“ (ბოლნისი) 2-1
„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ნაფარეული“ (ნაფარეული) 3-0
„დურუჯი“ (ყვარელი) — „თორი“ (ბორჯომი) 3-0
„იქობელა“ (თბილისი) — „მესხეთი“ (ახალციხე) მატჩი ჩაიშალა
„ქართლი“ (გორი) — „შირაქი“ (დედოფლისწყარო) 0-0
„მერანი-ბაჩო“ (თბილისი) — „თეთრი არწივი“ 1-2
„ანცი“ (თბილისი) — „ჰაბუკიანი“ (ჰაბუკიანი) 2-0
„მერანი-91“ (თბილისი) — „ერქვანი“-„ზოოვეტი“ 1-1

დასავლეთი ზონა

„სულორი“ (ვანი) — „ულუმბო“ (სალხინო) 1-0
„გურია-2“ (ლანჩხუთი) — „კახაბერი“ (ხელვაჩაური) 5-2
„ანაკო-მერცხალი“ (ოზურგეთი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 4-0
„იმერეთი“ (ხონი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0-2
„მევარდენი“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი“ (აბაშა) 1-1

წილისყრამ ერთმანეთს შეჰყარა...

9 სექტემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში შედგა ეროვნული თასის მეოთხე გათამაშების 1/16 ფინალში გასული გუნდების წილისყრა. 14 და 28 სექტემბერს ერთმანეთს შეხვდებიან:

„მზიური“ (გალი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე),
„სამტრედია“ (სამტრედია) — „ტორპედო“ (ქუთაისი),
„ივერია“ (ხაშური) — „ერქვანი“ (გურჯაანი),
„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „გურია“ (ლანჩხუთი),
„მეშახტე“ (ტყიბული) — „მალაროელი“ (ჭიათურა),
„ცხუმი“ (სოხუმი) — „მეტალურგი“ (რუსთავი),
„ოდიში“ (ზუგდიდი) — „სამგურალი“ (წყალტუბო),
„ეგრისი“ (სენაკი) — „დურუჯი“ (ყვარელი),
„მესხეთი“ (ახალციხე) — „დილა“ (გორი),
„შუქურა“ (ქობულეთი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი),
„კოლხეთი“ (აბაშა) — „არაგვი“ (დუშეთი),
„ანცი“ (თბილისი) — „თეთრი არწივი“ (თბილისი),
„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „კახეთი“ (თელავი),
„მრეტები“ (თბილისი) — „ბათუმი“ (ბათუმი),

თბილისის დინამოელები ბრძოლაში მეოთხედფინალიდან ჩაებმებიან.

შეუცვარებლი მსაჯები „კაცმირზე გადიან“, ჩვენები კი ძალებით იწყებენ

25-28 აგვისტოს გერმანიის ქალაქ კაიზერსლაუტერნში უეფას ეგიდით ჩატარდა საერთაშორისო არბიტრთა კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისელები: გურამ სეფიაშვილი და მერაბ მალალურაძე, სურამელი თამაზ ლაცაბიძე და ზუგდიდელი სერგო კვარაცხელია.

ევროპის 47 ქვეყნის 122 საუკეთესო არბიტრს გააცნეს სამსაჯო პრაქტიკის სიახლეები და თანამედროვე მოთხოვნები. მათ ჩაუტარდათ თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მსაჯთა ფიზიკურ მომზადებას და არცთუ უსაფუძვლოდ: ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი ხომ მოინათლა „მსაჯთა კრახის წლად“, ვინაიდან ისინი აშკარად ვერ უძლებდნენ გაზრდილ ფიზიკურ დატვირთვებს, ამიტომ, უეფას გადაწყვეტილებით ოფიციალური საერთაშორისო მატჩების მომსახურე მსაჯთა ასაკობრივი ცენზი 48-დან 45 წლამდე „დასწიეს“. სხვათა შორის, ფიზიკური მზადყოფნის ტესტირება სწორედ ჩვენი მსაჯებით დაიწყეს და აქ თავი მხოლოდ თამაზ ლაცაბიძემ გამოიჩინა.

კონგრესზე ითქვა იტალიის და შვეიცარიის საფეხბურთო ჩემპიონატებში განხორციელებულ ექსპერიმენტებზეც. იტალიელებმა ჩემპიონატის ზოგიერთ მატჩში გვერდით მსაჯებს უფლება მისცეს უშუალოდ მინდორზე აქტიურად ჩაერიონ თამაშში და შეასრულონ მთავარი მსაჯის ფუნქციები, ხოლო შვეიცარიაში მსაჯები აღიჭურვნენ პორტატული რადიოგადამცემებით, რომელთა მეშვეობით თამაშის დროს უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

არბიტრთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია მატერიალური ანაზღაურების საკითხებმა. საერთაშორისო ფეხბურთში დამკვიდრდა მსაჯთა დღიური ანაზღაურების ოდენობა — 175 შვეიცარიული ფრანკი, რაც მილიონ კუპონზე მეტს უდრის(!).

მსაჯთა კონგრესის მონაწილეთა ერთი ჯგუფი: მარცხნიდან — მ. მალალურაძე, მ. პონე (საქართველოს კურატორი უეფას სამსაჯო კომიტეტში), თ. ლაცაბიძე, კ. მალკა (უეფას მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტი), ს. კვარაცხელია, გ. სეფიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა უეფას პრეზიდენტი ლენარტ იოჰანსონი.

ბოლოს გულშემატკივართ ვამცნობთ, რომ ქართველ მსაჯთა ბრიგადა (გურამ სეფიაშვილი, მურად ჯულაყიძე და თემურ მაჭარაძე) დანიშნულია ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე ბულგარეთისა და ლიტვის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც 15 ოქტომბერს სოფიაში გაიმართება.

ჯემალ ჩიბაშვილი

* * *

მსოფლიო ჩემპიონატი

ევროპის ზონა

I ჯგუფი. შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა შინ მხოლოდ ფრეს მიაღწიეს შვეიცარიის ნაკრებთან შეხვედრაში (1-1) და პრაქტიკულად დაკარგეს ფინალურ ეტაპზე გასვლის შესაძლებლობა.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
შვეიცარია	8	5	3	0	19—5	13
პორტუგ.	7	4	2	1	14—4	10
იტალია	7	4	2	1	15—6	10
შოტლანდია	8	3	3	2	11—10	9
მალტა	9	1	1	7	3—21	3
ესტონეთი	7	0	1	6	1—17	1

II ჯგუფი. ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე, 71 ათასი მაყურებლის თანდასწრებით, ინგლისელებმა იოლად სძლიეს პოლონეთის გუნდს — 3-0. ბურთები გაიტანეს ფერდინანდმა, გასკოინმა და პირსმა..

ნორვეგია	7	5	2	0	20—3	12
ინგლისი	8	4	3	1	19—6	11
ჰოლანდია	7	3	3	1	17—8	9
პოლონეთი	6	3	2	1	8—6	8
თურქეთი	8	1	1	6	7—17	3
სან-მარინო	8	0	1	7	1—32	1

III ჯგუფი. ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებმა დუბლინში მიიღო ლატვიის გუნდი და გაიმარჯვა ანგარიშით 2-0. ბურთები გაიტანეს კუინმა და გრეიმ.

ამ ჯგუფში გაიმართა კიდევ ორი შეხვედრა: ალბანეთი — დანია 0-1, ირლანდია — ლიტვა 2-0.

ირლანდია	10	7	3	0	17—2	17
დანია	10	6	4	0	14—1	16
ესპანეთი	9	5	3	1	18—2	13
ჩრ. ირლ.	10	5	2	3	13—11	12
ლიტვა	12	2	3	7	8—21	7
ლატვია	12	0	5	7	4—21	5
ალბანეთი	11	1	2	8	5—21	4

IV ჯგუფი. უელსისა და ჩეხეთ-სლოვაკეთის ნაკრებებმა ფრედ ითამაშეს — 2-2, ხოლო ფარერის კუნძულების ნაკრები შინ დამარცხდა რუმინელებთან — 0-4.

ბელგია	8	7	0	1	15—3	14
რუმინეთი	8	5	1	2	25—10	11
ჩეხეთ-სლოვაკეთი	8	3	4	1	18—9	10
უელსი	8	4	2	2	16—10	10
კვიპროსი	8	2	1	5	8—13	5
ფარერის კ-ბი	10	0	0	10	1—38	0

V ჯგუფი. ისლანდიელმა ფეხბურთელებმა რეიკიავიკში ანგარიშით 1-0 დაამარცხეს ლუქსემბურგის ნაკრები, ხოლო რუსეთის ფეხბურთელებმა ბუდაპეშტში მოუგეს უნგრეთის გუნდს 3-1 (უნგრელებს ფ. პუშკაშის ნაცვლად ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავთ — იოჟეფ ვერებეში).

რუსეთი	7	5	2	0	15—3	12
საბერძნეთი	6	4	2	0	6—1	10
ისლანდია	8	3	2	3	7—6	8
უნგრეთი	7	1	1	5	5—11	3
ლუქსემბურგი	6	0	1	5	1—13	1

VI ჯგუფი. ფინელებმა შინ წააგეს საფრანგეთის ნაკრებთან — 0-2, ბულგარეთისა და შვეციის გუნდების შეხვედრა კი ფრედ დამთავრდა — 1-1.

საფრანგეთი	8	6	1	1	14—5	13
შვეცია	7	5	1	1	14—4	11
ბულგარეთი	8	4	2	2	13—8	10
ავსტრია	7	3	0	4	12—10	6
ფინეთი	8	1	1	6	4—14	3
ისრაელი	7	0	2	5	5—21	2

რა ხდება ქვეყანაზე

● **ბოლო წლების** დეპრესიის შემდეგ გერმანელმა ჩოგბურთელმა ბორის ბეკერმა წლეულს რამდენჯერმე ითამაშა უიმბლდონის სამგზის ჩემპიონის საკადრისად, რაც იმას ნიშნავს, რომ მას კვლავ „გაეხსნა სუნთქვა“. აი, რა განაცხადა მან ამასთან დაკავშირებით: „ვგრძნობ, რომ ხელახლა ავღორძინდი ჩოგბურთისთვის: ბრძოლა უკვე მანიჭებს სიამოვნებას, რაც მთავარია, გამიჩნდა გამარჯვების ინტერესი, ასე რომ ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ არ უნდა დავიბრუნო მსოფლიოს ნომერი პირველი ჩოგბურთელის წოდება“.

● **მას შემდეგ,** რაც ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამერიკელმა მძლეოსანმა ედვინ მოზესმა დატოვა აქტიური სპორტი, ენერგიული საქმიანობა გააჩაღა აშშ-ის ათლეტთა კონგრესის ანტისადოპინგო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე, მაგრამ მალე უთანხმოება მოუვიდა კონგრესის ხელმძღვანელობასთან და ბოლოს გადადგა. [illegible] მიზეზი? — ფედერაციასთან შეუთანხმებლობა — იმ დროს, როცა მოზესი მხარს უჭერდა არასაშეჯიბრებო პერიოდში კონტროლის გაძლიერების პრაქტიკას, ფედერაცია ცდილობდა ამ მეთოდის პოზიტიური შედეგების დაფარვას.

ედვინ მოზესი.

● **სპორტული** საქონლის მწარმოებელი ცნობილი ფირმა „რიბოკ ინტერნეი შნლი“ დიდი ხანია აფინანსებს „გულის ბუნებრივი დაცვის“ პროგრამას. ამასთან დაკავშირებით ლონდონის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალთან შეიქმნა სპეციალური ლაბორატორია, რომელსაც „რიბოკმა“ კვლევისათვის 300 ათასი გირვანქა სტერლინგი გამოუყო. გამოკვლევები ძირითადად სპორტსმენებზე ტარდება, თუმცა შედეგები განზოგადდება მოსახლეობაზე. პროგრამა სამწლიანია და გაისად დასრულდება.

● **შარშან** ავსტრალიის ღია ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ გახარებული ჯიმ კურიე ჩაცმული გადახტა მდინარე იარაში. რა იცოდა მაშინ, რომ წყალი ჭუჭყიანი იყო და უამრავი სიბინძურე მოჰქონდა. წლევანდელი ჩემპიონატის ფინალში კვლავ კურიემ იმარჯვა. დამარცხებულმა სტეფან ედბერგმა წარმატება მიულოცა მეტოქეს და, ტრადიციის თანახმად მდინარეში ბანაობა მოსთხოვა, რაზედაც კურიემ ვერ თქვა უარი. ამბობენ, მარცხით განაწყენებულმა ედბერგმა ამ გზით იყარა ჯავრი კურიეზე.

სურათზე: ფინალში გამარჯვების შემდეგ კურიე იძულებულია შეასრულოს ტრადიციული რიტუალი.



სპორტული ტელეეკრანი

„ოსტანკინო“

11 სექტემბერი. 16.00. რუსეთის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი). **0.05.** მსოფლიო პირველობა ჭადრაკში. **12 სექტემბერი. 10.30.** „სპორტლოტოს“ ტირაჟი. **12.45.** ევროპის ჩემპიონატი ფრენბურთში ვაჟთა შორის. ნახევარფინალური შეხვედრის გადაცემა ფინეთიდან. **22.45.** სპორტული უიკ-ენდი. **23.00.** ევროპის ჩემპიონატი ფრენბურთში ვაჟთა შორის. ფინალური შეხვედრის გადაცემა ფინეთიდან.

13 სექტემბერი. 11. 30. გოლი. **21. 40.** გოლი (გამეორება). **14 სექტემბერი. 18. 55.** ფეხბურთი. უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი. „დინამო“ (მოსკოვი, რუსეთი) — „აინტრახტი“ (ფრანკფურტი, გერმანია). **0.55.** მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში.

„როსია“

11 სექტემბერი. 15. 50. ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. გადაცემა ნიუ-იორკიდან. **17. 00.** ფეხბურთი საზღვრებს გარეშე. **23. 30.** სპორტული კარუსელი. **0.55.** ევროპის ჩემპიონატი კრივში. გადაცემა თურქეთიდან. **12 სექტემბერი. 8.25.** აშშ-ს ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში, გადაცემა ნიუ-იორკიდან **15. 05.** აშშ-ს ღია ჩემპიონატი [illegible]ში: გაგრძელება. **16. 50.** მსოფლიო ჩემპიონატი საავტომობილო რბოლაში. კლასი „ფორმულა-1“. იტალიის „გრან-პრი“. **18. ს. 40 წ.** მსოფლიო ჩემპიონატი ავტორბოლაში, ფორმულა-1“ [illegible]ბა. **23. 30.** სპორტული კარუსელი [illegible] ევროპის ჩემპიონატი კრივში, გადაცემა თურქეთიდან.

ყურადღება!

ფირმა „ორბი-242“ საფეხბურთო კლუბებს სთავაზობს „ადიდასის“ იმპორტული წარმოების მაისურებს.

ცნობებისათვის დარეკეთ: 93-66-63 10-დან 17 საათამდე.

სადღაა „კაცური ჩხუბი“?!

ჭირი, რომელიც მოედო ფეხბურთს

კვირიდან კვირამდე ერთი და იგივე სურათი — ასობით ათასი ფეხბურთის გულშემატკივარი უქმე დღეებში ჯგას ადგება საყვარელი გუნდის მხარდასაჭერად. გერმანიაში ფეხბურთი ნომერი პირველი სპორტის სახეობაა. მოზრდილი მამაკაცების ორმოც პროცენტზე მეტი, ბოლო ხანს კი ქალების დიდი ნაწილიც, ფეხბურთის მხურვალე გულშემატკივრად მიიჩნევს თავს.

სტადიონებზე თავშეყრილი გულშემატკივრები არასდროს გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ზრდილობით მეტოქე გუნდის თაყვანისმცემლებისადმი. ფეხბურთი, მოგეხსენებათ, გვარიანად ძაბავს ნერვებს. გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში გულშემატკივრები გზას უხსნიან გრძნობებს — ყვირიან, უსტვენენ, მღერიან, ტირიან, მოწინააღმდეგეებთან კამათისას კი მუშტებსაც უთავაზებენ ხოლმე ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ცოტა ხნის წინათ, მაგრამ ბოლო ათწლეულში მდგომარეობა სტადიონებზე საგრძნობლად გაუარესდა. მატჩების დროს ადგილი აქვს მძიმე შეჯახებებს, რომლებსაც არავითარი საერთო არ გააჩნიათ ძველებურ „კაცურ ჩხუბთან“.

„სასტიკი ხულიგნობა“, „აყალმაყალი მატჩის შემდეგ“, „მოზარდების სისხლიანი შეტაკება სტადიონზე“... ასეთი სათაურები ჩნდება გაზეთებში თამაშების მეორე დღეს. ტელეეკრანებსა და ფოტოებზე გაზეთებში ჩანან დროშებით, შარფებით, საყვარელი კლუბის ემბლემებით დამშვენებული აგრესიულ მოზარდთა ჯგუფები, ზოგიერთს თავი თავხედურად აქვს გადაპარსული, ყვირიან მემარჯვენეთა საბრძოლო ლოზუნგებს, ხულიგნობენ სადგურებსა და ქუჩებში, ისვრიან ქვებსა და ბოთლებს.

ამგვარი ძალადობის აზვირთების მიზეზები სხვადასხვაა. სპეციალისტები დიდი ხანია მივიდნენ დასკვნამდე, რომ არასწორია ვარაუდი, თითქოს წესრიგის დამრღვევნი მხოლოდ უმუშევარნი და გარეუბნების მცხოვრებნი არიან. გამოირკვა, რომ მათ შორის არიან ბანკის ახალგაზრდა მოხელეებიც, პროფსასწავლებლების სტუდენტებიც და... პროფესორების შვილებიც. ეტყობა, ისინი ამ ფენაში ეძებენ თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში მიუწვდომელს — თავგადასავალსა და ერთობას. ამას გარდა, საგრძნობ როლს თამაშობს ეგრეთ წოდებული თვითინსცენირების შესაძლებლობაც. ქალაქის ცენტრიდან თუ სადგურიდან სტადიონისკენ რიტმული ტაშისცემითა და მარშით მიმავალი ახალგაზრდების ხილვა უნებურად გაგახსენებთ დრამატულ თეატრალურ დადგმას, სადაც თითოეულ სტატისტს მკაცრად განსაზღვრული როლი აქვს მიკუთვნებული. წარმოდგენილია შოუც, თეატრალურობაც, პოლიციასთან კატათაგვობანას თამაშიც და რაც უფრო მეტად აღიზიანებთ „მოქმედ პირებს“ შექმნილი ვითარება, მით უფრო მძაფრად შეიგრძნობენ ისინი სიამოვნებას.

დაუნდობლობის გამოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები სხვადასხვა ხასიათისაა. პირველ რიგში, ცხადია, „რადიკალური გულშემატკივრობის“ საერთო მიზეზს, ე. ი. უშუალოდ ფეხბურთს მიმართავენ. ცნობილ კლუბებს ჰყავთ საკუთარი, შესაბამისი ანაზღაურებით უზრუნველყოფილი წარმომადგენლები, რომლებიც გულშემატკივართა გაერთიანებით არიან დაკავებული. კლუბის ხაზინის ფინანსური დახმარებით აწყობენ მოთამაშეთა შეხვედრებს გულშემატკივრებთან, გამოსცემენ საკუთარ გაზეთებს, კოლექტიურად მოგზაურობენ და ესწრებიან სხვა ქალაქებში გამართულ შეხვედრებს. სამაგალითოდ გამოდგება ქალაქ გელზენკირჰენის ცნობილი კლუბის „შალკე 04“-ის აქცია „სუფთა გულშემატკივრები“. მანამდე მისი გულშემატკივრების შესახებ არაერთი კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა გაზეთებში. კლუბმა

თვითონ გადაუხადა ათასზე მეტ გულშემატკივარს სტადიონის ბილეთებისა და ავტობუსით ორივე მიმართულებით მგზავრობის საფასური. აქციის ყველა მონაწილე მართლაც წესიერად იქცეოდა, არავითარი ინციდენტი არ მომხდარა.

ამგვარი აქციებით კლუბი მხოლოდ გულშემატკივართა ცალკეული ჯგუფების გაერთიანებას აღწევს. მოხულიგნო ბანდების ბირთვის შემადგენელი დამოუკიდებელი ჯგუფები კი ხელშეუხებელნი რჩებიან. როგორც არ უნდა უწოდებდნენ ისინი თავიანთ თავს — ხულიგნებს, „სკინჰედებს“ თუ „კოსტუმირებულებს“, მათ ბევრი აქვთ საერთო, განსაკუთრებით კი საზოგადოებისადმი შეგნებული დაპირისპირება, საზოგადოებასთან რაიმე კონტაქტის დამყარების არავითარი სურვილი. და ამას ისინი სავსებით ახერხებენ — აბა, რომელი ჭკუათმყოფელი მოისურვებს მედესანტის ქუდიან და ლუდის ქილით ხელდამშვენებულ „სკინჰედს“ გამოელაპარაკოს?

სწორედ ამაშია ძირითადი საფრთხე. ისინი ისე იქცევიან, როგორც ამას მათგან ელიან — „გგონიათ, რომ ქვებს ვისვრით? ჰოდა, ვისვრით!“ — ამბობს თომას შნაიბერი, „ჰამბურგის გულშემატკივართა პროგრამის“ თანამშრომელი. ამგვარი პროგრამები და საინიციატივო ჯგუფები ამჟამად გერმანიის თითქმის ყველა იმ ქალაქშია, სადაც ფედერალური ლიგის კლუბები ჰყავთ. მათ მჭიდრო კავშირი აქვთ გულშემატკივართა გაერთიანებებთან. პროგრამების ხელმძღვანელები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში სოციალური სამსახურის კვალიფიციური მუშაკები არიან, გულშემატკივართა „ველურ“ ჯგუფებთანაც მუშაობენ, ცდილობენ მათთან კონტაქტის დამყარებასა და ნდობის მოპოვებას.

ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინიციატივის გამოვლენა და არა ლოდინი — მოზარდები თავად მოგვაკითხავენო. „ყოველთვის, როგორც კი ადგილობრივ სტადიონებზე შეხლა-შემოხლა იწყება, ჩვენ იქ მივეშურებით — განაგრძობს თომას შნაიბერი — რომელიმე ჩვენგანი ყოველთვის ესწრება სხვა ქალაქებში გამართულ თამაშებს. მოსალოდნელი კონფლიქტების მოახლოებისას ჩვენ აუცილებლად ვერევით საქმეში, ვცდილობთ დაძაბულობის განმუხტვას, შფოთისთავების დაშოშმინებას“. გულშემატკივართა პროგრამების თანამშრომლები ხშირად თვითონაც ვარდებიან საფრთხეში, მაგრამ, როგორც ამტკიცებენ, დღემდე არავინ დაჭრილა. ყველანაირი ძალისხმევის მიუხედავად, მათი საქმიანობა ზღვაში წვეთია. „რამდენიმე ათეული ათასი გულშემატკივრის შეტაკებისას სოციალურ თანამშრომელთა რამდენიმე წყვილს არავითარი ძალა არ შესწევს ვითარების დასაწყნარებლად“ — წუხს შნაიბერი.

ისინი კოლეგებთან ერთად მოითხოვენ პრინციპულ პროგრამებს, რომლებიც ბოროტებას ძირშივე აღმოფხვრიან. საჭიროა დაუსაქმებელი ახალგაზრდების სამუშაოთი დაკავება, მათთან მუშაობისთვის საჭირო სუბსიდიების გაზრდა, სასკოლო სწავლების სრულყოფა, ამასთან, უნდა გააქტიურდნენ საფეხბურთო კლუბები და თვით მოთამაშეები. „გულშემატკივართა პროგრამების თანამშრომლებს საქმიანობა დიდად გაგვიადვილდებოდა, თუ ფეხბურთელებიც დაინტერესდებოდნენ თავიანთი გულშემატკივრებით. მაგრამ მათთვის, სამწუხაროდ, ყველაზე მთავარი ფულია. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩვენ მოწმენი ვართ დარღვეული სასიყვარულო კავშირისა — გულშემატკივრები ძალზე იმედგაცრუებულნი არიან მოთამაშეებით და, შეიძლება ითქვას, ძალდატანებით სურთ მათი ყურადღების მიპყრობა“.

მოამზადა ბელა ჯილაურმა.

გუნდურში — მეთერთმეტე, გოლიადორებში — პირველი

უკვე გაუწყეთ, რომ აგვისტოს ბოლოს ეგვიპტის დედაქალაქმა კაირომ უმასპინძლა ახალგაზრდა წყალბურთელთა მსოფლიო პირველობის ფინალურ ტურნირს, რომელშიც გამოდიოდნენ 16 ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის საქართველოს გუნდიც.

მეტოქეები დაყვეს ოთხ ჯგუფად. ქართველ წყალბურთელებთან გადამწყვეტ მატჩებში მონაწილეობის უფლებისათვის იბრძოდნენ ესპანეთის, რუმინეთის და ბრაზილიის გუნდები. ჩვენმა სპორტსმენებმა პირველ ორთან დათმეს შეხვედრები, ბრაზილიელებს კი სძლიეს ერთი ბურთით — 10:9, რამაც მათ XI ადგილის მოპოვების შანსი შეუნარჩუნა და ჩვენი გუნდი საბოლოოდ ამ ადგილს „დასჯერდა“.

უძლიერესის წოდება კი იტალიის გუნდმა დაიმსახურა. მეორე საპრიზო ადგილზე ესპანელები გავიდნენ, მესამეზე — უნგრელები.

ყველაზე შედეგიანი მოთამაშის პრიზით დაჯილდოვდა ქართველი წყალბურთელი რევაზ ჩომახიძე, რომელმაც 7 თამაშში მეტოქეთა კარში 34 ბურთი გაიტანა.

მიხეილ (მიშიკო) იოსელიანი



თუ ვინმეზე ითქმის, კაცმა თავისი წუთისოფელი სიკეთესა და საზოგადო საქმისათვის ზრუნვაში გალიაო, ეს მიშიკო იოსელიანის დარ ადამიანებზეა ნათქვამი, მთელი მისი ცხოვრების მიზანი მოყვასის თანადგომა და სხვებისთვის უანგარო სამსახური იყო. სპორტთან, კერძოდ, ცხენოსნობასთან ყმაწვილობიდან დამეგობრებულმა სპორტის ამ სახეობისთვისაც წარმოუდგენლად ბევრი გააკეთა. იგი ყველაზე უკეთ გრძნობდა რას ნიშნავს ქართველი კაცისთვის ცხენი, ცხენოსნობა და მუდამ ამ შეგნებით მოქმედებდა. იპოდრომის ხშირი სტუმარი იყო, ბედაურებს ბიჭუნასავით ეალერსებოდა, მერნების მოვლა-პატრონობას სათავისო საქმედ მიიჩნევდა და ზრუნვას არ აკლებდა. ვინ იცის, რამდენჯერ დახმარებია ზოგჯერ ფინანსურად, ზოგჯერ ცხენების საკვებით საცხენოსნო ბაზას. როგორც ცხენოსნობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს და ულალატო სპონსორს, არაერთხელ გაუმართავს ხელი შეჯიბრების ორგანიზატორებისთვის, რათა დაგეგმილი ასპარეზობა აუცილებლად გამართულიყო. მის მიერ შექმნილი აგროსამრეწველო ფირმა „თამარისი“ თავის მოვალეობად თვლიდა ამ ეკონომიკური გაჭირვების ჟამს მეცხენეობა და ცხენოსნობა ბედის ანაბარა არ დარჩენილიყო, შთამომავლობას გადასცემოდა საცხენოსნო ტრადიციები.

58 წლის ასაკში უწია სიკვდილმა ამ ნათელ პიროვნებას. ამიერიდან მის სახელს წარსულში მოიხსენიებენ, მაგრამ იგი მუდამ ჩვენთან იქნება, როგორც სიკეთის, მეგობრობის, წმინდა ადამიანური ურთიერთობების განსახიერება და მიბაძვის მაგალითი.

მხედრებს ოდითგანვე ტრადიციად მოსდგამთ გამოკლებული მეგობრის სახელის უკვდავყოფა. მიშიკო იოსელიანსაც მუდამ ჯეროვან პატივს მიაგებს მისი საქმით და კაცობით დიდად დავალებული ცხენოსანთა საძმო.

ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის რესპუბლიკური ფედერაცია, თბილისის საცხენოსნო სპორტული ბაზა.

სად გაქრა გარი კასპაროვი

ანუ ფიდემ შეასრულა მუქარა

როდესაც მკითხველი ამ ახალ „რეიტინგ-ლისტს“ გაეცნობა, ცხადია, პირველ ყოვლისა, ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ სიაში არ არიან მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი და მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ნაიჯელ შორტი. ფიდემ შეასრულა მუქარა და ორივე გარიცხა თავისი ორგანიზაციიდან. სიაში არ არის ბობი ფიშერიც, რომელიც ასევე ოფიციალურად ატარებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას.

სიას სათავეში მოუქცა მსოფლიო ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი (რუსეთი), რომლის რეიტინგია 2760, წლის პირველ ნახევარში. ითამაშა 61 პარტია; შემდეგ მოდიან: 2. ვ. ანანდი (ინდოეთი) — 2725, 19; 3. ვ. კრამნიკი (რუსეთი) — 2710, 61; 4. ვ. ივანჩუკი (უკრაინა) — 2705, 13; 5. ა. შიროვი (ლატვია) — 2685, 54; 6. ვ. სალოვი (რუსეთი) — 2685, 23; 7. ბ. გელფანდი (ბელორუსი) — 2670, 35; 8. ე. ბარეევი (რუსეთი) — 2660, 38; 9. კ. გეორგიევი (ბულგარეთი) — 2660, 11; 10. ვ. ეპიშინი (რუსეთი) — 2655, 64; 11. ვ. ტოპალოვი (ბულგარეთი) — 2650, 38; 12. ა. ხალიფმანი (რუსეთი) — 2645, 42; 13. გ. კამსკი (აშშ) — 2645, 34; 14. ი. სმირინი (ისრაელი) — 2640, 68; 15. გ. კაიდანოვი (რუსეთი) — 2640, 43; 16. ს. ტივიაკოვი (რუსეთი) — 2635, 59; 17. ვ. მალანიუკი (უკრაინა) — 2635, 45; 18. ბ. გულკო (აშშ) — 2635, 30; 19. ა. ბელიავსკი (უკრაინა) — 2635, 27; 20. ა. იუსუპოვი (გერმანია) — 2630, 57; 21. ს. დოლმატოვი (რუსეთი) — 2630, 52; 22. მ. ადამსი (ინგლისი) — 2630, 52; 23. ზ. აზმაიფარაშვილი (საქართველო) — 2630, 41; 24. ი. პოლგარი (უნგრეთი) — 2630, 40; 25. ჯ. ხოჯსონი (ინგლისი) — 2625, 69; 26. მ. ილესკას კორდობა (ესპანეთი) — 2625, 52; 27. ვ. კორჩნოი (შვეიცარია) — 2625, 42; 28. პ. ნიკოლიჩი (ბოსნია და ჰერცოგოვინა) — 2625, 13; 29. უ. ანდერსონი (შვეცია) — 2625, არ უთამაშია; 30. რ. დაუტოვი (რუსეთი) — 2625, არ უთამაშია; 31. ჯ. ბენჯამინი (აშშ) — 2620, 69; 32. ჟ. ლოტიე (საფრანგეთი) — 2620, 44; 33. ი. ელვესტი (ესტონეთი) — 2620, 34; 34. ი. ტიმანი (ჰოლანდია) — 2620, 26; 35. ა. ჩერნინი (უნგრეთი) — 2615, 70; 36. რ. ვაგანიანი (სომხეთი) — 2615; 42; 37. ო. რომანიშინი (უკრაინა) — 2615, 15; 38. ზ. რიბლი (უნგრეთი) — 2610, 35; 39. ი. სოკოლოვი (ბოსნია და ჰერცოგოვინა) — 2610, 20; 40. ს. აგდესტეინი (ნორვეგია) — 2610, 8; 41. ი. ერმოლინსკი (აშშ) — 2605, 58; 42. კ. ლუტცი (გერმანია) — 2605, 57; 43. ა. ვიჟმანავინი (რუსეთი) — 2605, 51; 44. მ. გურევიჩი (ბელგია) — 2605, 47; 45. ლ. იუდასინი (ისრაელი) — 2605, 43; 46. რ. ჰიუბნერი (გერმანია) — 2605, 35; 47. ხუ. ცუნიგა გრანდა (პერუ) — 2605; 27; 48. ჯ. სპილმენი (ინგლისი) — 2605, 25; 49. ი. ჰიარტარსონი (ისლანდია) — 2605, 25; 50. ლ. პოლუგაევსკი (რუსეთი) — 2605, 14; 51. ვ. ტუკმაკოვი (უკრაინა) — 2600, 56; 52. ვ. აკოფიანი (სომხეთი) — 2600, 30; 53. ე. როზენტალისი (ლიტვა) — 2600, 24; 54. ლ. ოლი (ესტონეთი) — 2595, 58; ზ. კოჟული (ბოსნია და ჰერცოგოვინა) — 2595, 52; 56. პ. კრასენკოვი (პოლონეთი) — 2595, 43; 57. ი. როჯერსი (ავსტრალია) — 2595, 19; 58. ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — 2595, 13; 59. ა. შაბალოვი (ლატვია) — 2590, 62; 60. ვ. კოტრონიასი (საბერძნეთი) — 2590, 52; 61. ს. დვოირისი (რუსეთი) — 2590, 44; 62. ა. გრინფელდი (ისრაელი) — 2590, 34; 63. ი. პიკეტი (ჰოლანდია) — 2590, 34; 64. ჯ. ნანი (ინგლისი) — 2590, 32; 65. კ. ჰანსენი (დანია) — 2590, 25; 66. ვ. რუბანი (რუსეთი) — 2590, 9; 67. ლ. ვან-ველი (ჰოლანდია) — 2585, 79; 68. ლ. ფსახისი (ისრაელი) — 2585, 44; 69. ლ. პორტიში (უნგრეთი) — 2585, 35, 70. პ. ვოლფი (აშშ) — 2585, 34; 71. ე. პიგუსოვი (რუსეთი) — 2585, 33; 72. ბ. ალტერმანი (ისრაელი) — 2585, 22; 73. ე. ვლადიმიროვი (ყაზახეთი) — 2585, 7; 74. ზ. ალმასი (უნგრეთი) — 2580, 73; 75. ა. ვაისერი (საფრანგეთი) — 2580, 38; 76. ა. ნენაშევი (უზბეკეთი) — 2580, 34; 77. რ. შჩერბაკოვი (რუსეთი) — 2580, 33; 78. ვ. ეინგორნი (უკრაინა) — 2580, 24; 79: ს. ნოგეირასი (კუბა) — 2580, 22; 80. ვ. გავრიკოვი (შვეიცარია) — 2580, 21; 81. დ. მოკეტიჩი (იუგოსლავია) — 2580, არ უთამაშია; 82. ე. ლობრონი (გერმანია) — 2575, 68; 83. დ. გურევიჩი (აშშ) — 2575, 65; 84. ი. რაუზისი (ლატვია) — 2575, 63; 85. ი. გურევიჩი (აშშ) — 2575, 57; 86. ი. მოროვიჩ-ფერნანდესი (ჩილე) — 2575, 27; 87. ი. სეირავანი (აშშ) — 2575, 26; 88. გ. სერპერი (უზბეკეთი) — 2575, 20; 89. მ. როდე (აშშ) — 2575, 15; 90. ი. პინტერი (უნგრეთი) — 2575, 11; 91. ე. მეკინგი (ბრაზილია) — 2575, 8; 92. ა. ვოიტკევიჩი (პოლონეთი) — 2570, 63; 93. ბ. დამლიანოვიჩი (იუგოსლავია) — 2570; 62; 94. ი. ჰიკლი (გერმანია) — 2570, 42; 95. ა. დრეევი (რუსეთი) — 2570, 39; 96. ე. სვეშნიკოვი (რუსეთი) — 2570, 39; 97. ი. ხენკინი (რუსეთი) — 2570, 26; 98. ს. ლპუტიანი (სომხეთი) — 2565, 41; 99. ი. ვან დერ ვილი (ჰოლანდია) — 2565, 40; 100. ე. მაილსი (ინგლისი) — 2565, 38; 101. ჟ. მილოში (ბრაზილია) — 2565, 27; 102. დაო ტენ პაო (ვიეტნამი) — 2565, 27; 103. მ. ჩინდლერი (ინგლისი) — 2565, 11; 104. ბ. სპასკი (საფრანგეთი) — 2565, არ უთამაშია (ფიდე არ ითვალისწინებს სპასკის მატჩს იუდით პოლგართან).

სპორტსკოლა გიწვევთ!

განათლების სამინისტროს მოზარდ მთამსვლელთა რესპუბლიკური სპორტული სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის კლდეზე ცოცვისა და მთამსვლელობის მოსამზადებელ ჯგუფებში.

სკოლაში მიიღებიან 10-12 წლის ვაჟები და გოგონები სათანადო სამედიცინო შემოწმების შემდეგ. მიღება იწარმოებს 15 ოქტომბრამდე.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ნინოშვილის ქ. № 57, მოზარდთა მთამსვლური სპორტული სკოლა. ტელ: 96-59-77.

სკოლის დირექცია

საქართველოს რაგბის კავშირი სამძიმარს უცხადებს კავშირის ვიცე-პრეზიდენტს გოჩა აბაშიძეს დედის გარდაცვალების გამო.

წყალთა სახეობების კონფედერაცია თანაუგრძნობს წყალში მხტომელ გოჩა გახარიას ძმის ვაჟას ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380096, ბ. კოსტავას 14. ტელეფონი 99-56-14 ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435 ИНДЕКС დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“. ფასი 100 კაპ.